ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N5

დაბა ქედა 27 დეკემბერი, 2022 წელი.

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 11:15 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან ვერმაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: შორენა კარანაძე; ჯემალ დავითაძე და მინდია არძენაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

27.12.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1) **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმა.**

მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმა.

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ო. ხარაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმა და ისაუბრა თითოეული საკითხის განხილვის აუცილებლობაზე:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	ამომრჩეველთან შეხვედრა მიმდინარე წელში	ყოველთვიურად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2022 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	იანვარი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	2022 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
6	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
7	სკოლამდელ დაწესებულებებში კვების საკითხებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ არსებული	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

	მდგომარეობის შესწავლა (მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად)				

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მომზადებულად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმა და საკითხი ჩაითვალოს მიზანშეწონილად საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:15 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე